

ისტორიულ-გეოგრაფიული ატლასი სკოლის მოსწავლეებისათვის გათვალისწინებულია მე-6-12 კლასის მოსწავლეების, საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლებისა და საერთოდ ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ატლასი შედგება 31 ძირითადი და 9 დამატებითი რუკისაგან. პირველადაა მოცემული რუკები, რომლებშიც, ისტორიულ ჭრილში, ნაჩვენებია საქართველოს ადგილი კავკასიაში, წინა აზიასა და საერთოდ მსოფლიოში. საგანგებო რუკა ეძღვნება საქართველოში მოციქულების, წმინდა მამებისა და მოწამეთა მოღვაწეობას. რუკებს თან ახლავს მოკლე აღწერები. ატლასი შექმნილია საქართველოს ბუნების, ხუროთმოძღვრული ძეგლების, ოქრომჭედლობის, ფრესკული თუ მოზაიკური მხატვრობის უნიკალური ფოტოებით.

ს ა რ ჩ ე ვ ი

I. რუკები:

1. საქართველოს მხარეები დღეს და ძველად
2. მოციქულები, წმინდა მამები და მოწამენი საქართველოში
3. სამხრეთ კავკასია და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნები
4. ფინიკიური და ბერძნული კოლონიზაცია ძვ. წ. XI-VI საუკუნეებში
5. ქართლის (იბერიის) სამეფო და ელინისტური სამყარო ძვ. წ. III საუკუნეში
6. ქართლის სამეფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ფარნავაზის ხანაში
7. სამხრეთ კავკასია რომის ხელქვეით ძვ. წ. I საუკუნის II ნახევარსა და ახ. წ. I საუკუნის 30-იან წლებში
8. ქართული სახელმწიფოები, რომის იმპერია და პართია – I საუკუნის II ნახევარი – II საუკუნე
9. ქართული სახელმწიფოები, ბიზანტია და სასანიანთა სპარსეთი VI ს-ის პირველ მესამედში
 - 9/ა. ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა ბიზანტიაში 502-504 წწ.
 - 9/ბ. ვახტანგ გორგასლის საერისთავოები (ქართლის სამეფო 507-531 წწ.)
10. ქართლის საპატრიკიოსო (საერისმთავრო), არაბთა სახალიფო, ბიზანტია და ხაზართა სახაკანო VIII ს-ის I ნახევარში
11. აფხაზთა სამეფო IX-X საუკუნეებში
12. კახეთ-ჭერეთი X-XI საუკუნეებში
13. ქართველთა სამეფო ანუ ქართველთა საკურაპალატო 888-1001 წლებში
14. ტაშირ-ძორაგეტის სამეფო და თბილისის საამირო X-XI საუკუნეებში
15. სამხრეთ კავკასია X ს-ის II ნახევარში
16. საქართველო და სელჩუკთა იმპერია XI ს-ის ბოლო მეოთხედში
17. საქართველოს სამეფო დავით აღმაშენებლის ხანაში
18. საქართველო XIII ს-ის I მეოთხედში
19. საქართველო და მსოფლიო XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე
20. საქართველო და მონღოლები XIII საუკუნესა და XIV საუკუნის დასაწყისში
21. საქართველო გიორგი ბრწყინვალის ხანაში
22. საქართველო XV ს-ის დასასრულს – საქართველოს დაშლა სამეფო სამთავროებად
23. საქართველო, წინა აზია და ევროპა XV საუკუნის დასასრულს
24. საქართველო 1500-1577 წლებში
25. საქართველო 1578-1639 წლებში
26. საქართველო, წინა აზია და ევროპა XVII საუკუნის I ნახევარში
27. საქართველო XVIII ს-ის II ნახევარში
28. საქართველო და კავკასიის სამთავარმართებლო 1830-იან წლებში
29. კავკასია I მსოფლიო ომის წინ
30. საქართველო 1920-1921 წლებში
31. საქართველო და მისი მეზობლები

II. რუკების მოკლე აღწერები 41

„ხოლო ქვეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა. პირველად – საქართველო, მეორედ – ივერია, მესამედ – გიორგია ... მღებარეობს კასპიისა და პონტოს ზღვას შორის. არის ქვეყანა მშვენიერი და ნაყოფიერი ღვთისა მიერ ... რამეთუ ნაყოფიერებს ყოველი თესლი და მარცვალი კაცთა საზრდელი ... და ხილნი წალკოტთა მრავალნი ... სავარდეთა ყვავილნი მრავალნი ... პირუტყვნიცა მრავალნი ... არიან მთები და ტყეები აურაცხელი ყვავილით, მწვანითა და სურნელით აღსავსე. ტყენი სხვადასხვა ხითა მშვენიერითა ჭალათა და მთათა შინა.



შოთა რუსთაველის ფრესკა იერუსალემი, ჯვრის მონასტერი

და არიან მთანი დიდროვანნი, რამეთუ ჩრდილოეთიდან გადაჭიმულია კავკასი შავი ზღვიდან ვიდრე კასპიმდე, რომლის სიმაღლე დღე ერთისა სავალ და მარადის მყინვარე უმაღლესთა ზედა ... ხოლო დიან მთისა მისგან მდინარენი ამიერ და იმიერ მრავალნი ... სხვა არს მთა სამხრით, რომელი იწყების შავი ზღვითვე და გაივლის არზრუმს, ბასიანს და მოვალს ბარდა-არაქსამდე. არა ეგრე მყინვარე და მაღალი. თოვლი დევს მარადის აულებლად, მაგრამ ალაგ-ალაგ. მისი მდინარეები აგრეთვე დიან იმიერ და ამიერ. კიდევ არიან მათ შორის მთანი დიდროვანნი და მცირენი, კლდენი საშინელნი და მშვენიერებით აღმატებულნი“.

„არიან კაცნი და ქალნი მშვენიერნი, ჰაეროვანნი, შავთვალწარბ-თმოსანნი, თეთრ-ყირმიზნი, იშვიათად შავგვრემანი და მოყვითალო, იშვიათად ცისფერ და ჭრელთვალა, მწითური ან ქერა; ქალები ატარებენ უკან გადავარცხნილ და დაწნულ თმას; კაცები ყურებამდე შეჭრილს; არიან ტანწერწეტნი, განსაკუთრებით ქალები და იშვიათად სქელნი; მხნედ მშრომელნი, ჭირთამთმენნი, თამამი ცხენოსნები, მკვირცხლები, სწრაფები... ლაშქრობაში ახოვანები, საჭურველთა მოყვარულები, ამაყები, ლაღები, სახელის მაძიებლები, იმდენად, რომ სახელის გულისათვის არ დაგიდევენ არც ქვეყანას და არც მეფეს; სტუმართა და უცხოთა მოყვარულები, მხიარულები: თუ ორი და სამი ერთად არის, აღარაფერს ინაღვლის, უხვები - არც თავისი და არც სხვისი არ ენანებათ; სიმდიდრის არ მომხვეჭელები, გონიერები, სწრაფად მიმხვედრნი, ცოდნის დამჩემებლები, სწავლის მოყვარულები ... ურთიერთის ამყობნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, ნამუსის მქონენი, კეთილ-ბოროტზე იოლად მიმდრეკნი, თავხედნი, თვალმგებნი და მოთაკილენი“.

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“
ვახუშტი ბაგრატიონი
1696-1756.

„ქართველნი ვართ მოდგმით მხნენი, მეომრებად აღზრდილნი და მარად გაჭირვებულ ცხოვრებას ჩვეულნი“
პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი
გრიგოლ ბაკურიანის-ძე XI ს.

„აღმოსავლეთში არის ერთი ქრისტიანი ხალხი. ეს ხალხი დიდი მებრძოლი, ომში მამაცი, ტანად ძალოვანი და ძლევაძილია. ჰყავს ურიცხვი მეომარი, შიშის ზარს სცემს სარკინოზეს.

1184 წ. პალესტინის ქალაქ აკრის კათოლიკე პატრიარქი ჟაკ დე ვიტრი.

„ქართველები მიეკუთვნებიან კავკასიურ რასას და ცნობილნი არიან თავიანთი სილამაზით“

პიერ ლა რუსი

დიდი ფრანგული უნივერსალური ლექსიკონი, ტ. XIX,
პარიზი, 1872.



რუკა 1. სამხრეთ კავკასია და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნები

ა. სამხრეთ კავკასია და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნები ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში.

აღნიშნულ ხანაში საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი „მტკვარ-არაქსის“ სახელით ცნობილი ადრებრინჯაოს კულტურის გავრცელების არეალში შედიოდა. ამ კულტურის მატარებელი ტომები დაღესტნიდან ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე ცხოვრობდნენ. მათ ურთიერთობა ჰქონდათ ძველ ეგვიპტურ და შუმერულ ცივილიზაციებთან.

ბ. სამხრეთ კავკასია და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნები ძვ. წ. III ათასწ. ბოლო - II ათასწ. I ნახევარში.

შუა ბრინჯაოს ხანა საქართველოში ყორღანული კულტურის ხანაა. ამ კულტურის მატარებელ ტომებს ურთიერთობა ჰქონდათ ძველ ეგვიპტურ, ხეთურ, ეგეოსურ (კრეტა-მიკენის) და შუამდინარეთის (მესოპოტამიის) ცივილიზაციებთან.

გ. ძვ. წ. XV-XIII სს-ში უძველესი ქართული სახელმწიფო ეგრისი (კოლხეთი) შეიქმნა, რომელიც თავდაპირველად აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთს, ჭოროხის აუზს და შიდა ქართლის ერთ ნაწილს მოიცავდა. ცენტრალური სამხრეთ კავკასია აღმოსავლურ ქართული კულტურის მატარებელ ტომებს ეკავათ. ამ საუკუნეებში ეგრისის სამეფოს ძველი აღმოსავლეთის მოწინავე ქვეყნები ასურეთისა და ხეთების სამეფოები ემეზობლებოდნენ. ძვ. წ. XIII ს-ის დასაწყისში დამყარდა უშუალო საზღვაო კონტაქტები მიკენურ საბერძნეთთან, რაც არგონავტების ცნობილ მითში აისახა.

დ. ძვ. წ. VIII ს-ში ძველი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოს ასურეთი წარმოადგენდა. ამ დროისათვის ეგრისის სამეფოს სამხრეთიდან უშუალოდ ურარტუ გაუმეზობლდა. იმავე დროს მცირე აზიის ცენტრალური ნაწილი ფრიგიელ-ბისა და მუშქების სამეფოს ეჭირა. ძვ. წ. VIII ს-ის 30-იანი წლებიდან ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთ კავკასიასა და წინა აზიაში ჯერ კომირიელები, შემდეგ კი სკვითები შემოიჭრნენ, რამაც მცირე ხანში წინა აზიის პოლიტიკური რუკა მნიშვნელოვნად შეცვალა.

რუკა 2. ფინიკიური და ბერძნული კოლონიზაცია ძვ. წ. XI-VI სს-ებში



კოლხური ვერცხლის მონეტები, რომელსაც კოლხურ თეთრს უწოდებენ

კოლონიზაცია ადამიანთა დიდი მასის ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადასახლებას და იქ მუდმივად დამკვიდრებას ნიშნავს. ფინიკიას ხმელთაშუა ზღვის პირას დღევანდელი ლიბიის სანაპიროს ვიწრო ზოლი ეკავა. ძვ. წ. X-VIII სს-ში ფინიკიელებმა დასავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში თავიანთი ქალაქ-კოლონიები შექმნეს. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩრდილოეთ აფრიკაში კართაგენი. ძვ. წ. XI-IX სს-ებში ძველმა ბერძნებმა მცირე აზიის სანაპირო ზოლში თავიანთი ქალაქ კოლონიები დააარსეს. ბერძნულმა კოლონიზაციამ განსაკუთრებული მასშტაბი ძვ. წ. აღ. VIII-VI სს-

ში შეიძინა, ამას „დიდი ბერძნული კოლონიზაცია“ ეწოდება. ამ დროს ბერძნებმა ეგრისს სამხრეთ-აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთი ჩამოაშორეს, ხოლო ეგრისის ცენტრალურ შავი ზღვისპირეთში თავიანთი ქალაქ-ფაქტორიები: ფაზისი (ფოთი), დიოსკურია (სოხუმი), გიენოსი (ოჩამჩირე) და ბიჭვინთა (პიტიუნტი) დააარსეს.

რუკა 3. საქართველოს მხარეები დღეს და ძველად

ჩვენი სამშობლო უძველესი დროიდან ცალკეულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებად ანუ ქვეყნებად იყოფოდა. დროდადრო მათი საზღვრები და ზოგჯერ სახელწოდებებიც კი იცვლებოდა. ზოგი ასეთი მხარე დღეს აღარ არსებობს, მისი სახელი მხოლოდ ისტორიამ შემოგვინახა. ზოგიც ამჟამად ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაა.

დასავლეთ საქართველოში მდებარეობს აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი (ძველი თაკვერი) და სვანეთი. ძველად აფხაზეთი მოიცავდა ტერიტორიას ნიკოფსიიდან (ნოვაია მიხაილოვკა რუსეთში ქ. ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით) ანაკოფიამდე (ახალი ათონი). ანაკოფიიდან ცხენისწყლამდე და რიონამდე ოდში (სამეგრელო) მდებარეობდა. ამჟამად აფხაზეთი მდ. ფსოუდან ენგურამდე ვრცელდება, სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთით ენგური საზღვრავს, ტერიტორია ქ. ტუაფსესა და მდ. ფსოუს შორის კი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაშია. რუსეთის ფედერაციის ალანის რესპუბლიკის საზღვრებშია აგრეთვე რაჭის



ხევსურეთი, სოფ. მუცო

ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ძველი ქართული ისტორიული მხარე დვალებით.

ისტორიული ზემო ქართლი მტკვრის ზემო წელში და ჭოროხის ხეობაში მდებარე მხარეებს მოიცავდა. მათგან დღეს საქართველოს ფარგლებში მხოლოდ აჭარა, მესხეთი (სამცხე), თორი და ჯავახეთია. მტკვრის ზემო წელში მდებარე ერუშეთი, არტაანი და კოლა, ისევე როგორც ჭოროხის აუზში მდებარე სპერი, ტაო, პარხალი, კლარჯეთი, შავშეთი და ნიგალის ხევი თურქეთის შემადგენლობაშია. მისივე საზღვრებშია არაქსის სათავეებში მდებარე ბასიანი და ყარსის მხარე რომლებიც აგრეთვე საუკუნეთა მანძილზე საქართველოს ეკუთვნოდა. სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთში ჭოროხიდან ტრაპიზონამდე ლაზეთი, ტრაპიზონის დასავლეთით

ქ. სამსუნამდე კი ჭანეთი მდებარეობდა. ლაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი სხვადასხვა დროს ქართული სახელმწიფოების შემადგენლობაში შედიოდა. გვიანი შუა საუკუნეების ქართული წყაროები მას ჭანეთს უწოდებენ. დღეს სოფლების გონიოსა და სარფის გარდა მთელი ლაზეთი თურქეთის შემადგენლობაშია.

ისტორიულ ქვემო ქართლს სამხრეთით ბამბაკ-ერევნის ქედი, სამხრეთ აღმოსავლეთით მდ. ბერდუჯი (დღევანდელი ალსტაფე, მარჯვენა შენაკად მდ. გეტიკითურთ), აღმოსავლეთით მტკვარი, ჩრდილოეთით კი თრიალეთის ქედი საზღვრავდა. ის ძველ ისტორიულ მხარეებს გაჩინა, იგივე ტაშირს, აბოცს (სომხურ წყაროებში ეს მხარე აშოკად იწოდება) და გარდაბანს მოიცავდა. აქედან აბოცი და გაჩინის სამხრეთი ნაწილი – მდ. დებედას ზემო წელი – დღეს სომხეთის შემადგენლობაშია, ისტორიული გარდაბნის სამხრეთ-აღმოსავლეთი მონაკვეთი კი აზერბაიჯანს ეკუთვნის.

დღევანდელი კახეთი სამი ისტორიული მხარის კუხეთის, საკუთრივ კახეთისა და ჰერეთის გაერთიანების შედეგია. კუხეთი მტკვარსა და იორს შორის მდებარეობდა. ჰერეთი თელავის სამხრეთით მტკვარ-იორსა (იორის დინების ბოლო მონაკვეთში) და იორ-ალაზნის შუამდინარეთს მოიცავდა.

ჰერეთის უკიდურეს ჩრდილო აღმოსავლეთით, მდ. სამურის სათავეებსა და მდ. ქურმუხის ხეობაში კიდევ ერთი ისტორიული ქართული მხარე – წუქეთი – მდებარეობდა. დღეს ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი (გვიანდელი საინგილო) წუქეთის ერთი ნაწილითურთ აზერბაიჯანის შემადგენლობაშია. წუქეთის მეორე ნაწილი კი რუსეთის ფედერაციის დაღესტნის რესპუბლიკის ფარგლებშია.



სვანეთი, სოფ. უშგული

კახეთში საკუთრივ კახეთის გარდა (დაახლ. დღევანდელი ქ. გურჯაანის ჩრდილო-დასავლეთით მდ. იორსა და კავკასიონის ქედს შორის მდებარე ტერიტორია, რომელიც ისტორიულად ორი, პანკისისა და კვეტერის საერისთავოსაგან შედგებოდა) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი მხარეები: ერწო-თიანეთი, ფშავ-ხევსურეთი (ძველი ფხოვი) და თუშეთი შედიოდა. ხევსურეთის ერთი ნაწილი – პირიქითა ხევსურეთი და თუშეთი კავკასიონის ცენტრალური ქედის გადაღმა მდებარეობენ. კავკასიონის ცენტრალური ქედის გადაღმა, მდ. თერგის ზემო წელზე მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს კიდევ ერთი მთიანი მხარე – ხევი. არაგვის (თეთრი არაგვის) ზემო წელზე მთიულებითა, ხოლო მის შენაკად შავ არაგვზე – გუდამაყარი. მდ. არაგვი ისტორიულად შიდა ქართლს აღმოსავლეთიდან საზღვრავდა და მას კახეთისაგან გამოჰყოფდა. შიდა ქართლი ჩრდილოეთიდან კავკასიონის ქედით, დასავლეთიდან ლიხის ქედით, სამხრეთიდან – თრიალეთის ქედით ისაზღვრებოდა.

რუკა 4. მოციქულები და ღმერთი მამაი საქართველოში

ქრისტეს მოძღვრების ქადაგება საქართველოში, გადმოცემის თანახმად, რომლის წერილობითი დაფიქსირება ადრევე მოხდა, წილად მარიამ ღვთისმშობელს ხვდა, მან კი თავის ნაცვლად ქრისტეს მოწაფე ანდრია პირველწოდებული გამოაგზავნა. ანდრია მოციქული საქართველოში სამჯერ იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მესამე მოგზაურობა, რომელშიც მას თან ახლდნენ ქრისტეს სხვა მოწაფეებიც, მოციქულები სვიმონ კანანელი და მატათა. ამჯერად ანდრია პირველწოდებული საქართველოში ქედესიდან მოვიდა. ის მდ. ჭოროხის სათავეებით ქართლის სამეფოში შემოვიდა, ჭოროხის დინებას გაჰყვა და ციხე-ქალაქ აფსაროსს მიაღწა, აქ მატათა მოციქული გარდაიცვალა. სვიმონ კანანელმა და ანდრიამ სოფ. დიდი აჭარა და ციხე-ქალაქი აწყური გამოიარეს და ფერსათის მთებში რკინისჯვრის უღელტეხილით მდ. ჩხერიმელას ხეობაში დაეშვნენ, საიდანაც სვანეთში გადავიდნენ. სვანეთიდან მახარობლები კოდორის ხეობით სევასტე ქალაქში, იგივე სევა-სტოპოლოსში (სოხუმი), იქიდან კი ციხე-ქალაქ ნიკოფსიაში ჩავიდნენ. ნიკოფსიაში სვიმონ კანანელი გარდაიცვალა, ანდრია კი ყირიმის ქალაქების თეოდოსიისა და ხერსონესის გავლით ზღვით სინოპესა და ჰერაკლიაში მივიდა. ქალაქ ჰერაკლიიდან ის ქალაქ ბიზანტიონში (შემდეგდროინდელი კონსტანტინოპოლი), იქიდან თესალონიკეში და საბოლოოდ, პელოპონესის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთში მდებარე ძველ ბერძნულ პროვინცია აქაიაში ჩავიდა, სადაც გარდაიცვალა.

საქართველოში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა მოციქულთა სწორის წმ. ნინოს მოღვაწეობის შედეგად გამოცხადდა (326 წ.). წმ. ნინო საქართველოში ქალაქ იერუსალიმიდან წამოვიდა. ის ჯერ ქალაქ ეფესოში, ხოლო შემდეგ სომხეთის დედაქალაქ დვინში ჩავიდა. მდ. არაქსისა და მისი მარცხენა შენაკადის მდ. ახურიანის ხეობით ჯავახეთში შემოვიდა და ფარავნის ტბას მოაღწა, საიდანაც მდ. ფარავნისა და მდ. მტკვრის დინების ჩაყოლებით ჯერ ქ. ურბნისში, შემდეგ კი ქართლის სამეფოს დედაქალაქ მცხეთაში ჩავიდა. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და მცხეთის მოსახლეობის მონათვლის შემდეგ, მეფე მირიანმა წმ. ნინო იოანე ეპისკოპოსთან ერთად, ქართლის სამეფოს მთიანი მხარეების მოსანათლად გაგზავნა. წმ. ნინომ ქრისტიანობა იქადაგა წობენს, შემდეგ ყალეთს, კაწარეთს, ქცელდაბას. აქედან ჰერეთში გადასვლის მიზნით, კუხეთის ქალაქ ბოდინში (დღევანდელი ნინოწმინდა) მივიდა, სადაც გარდაიცვალა.

304-311 წწ-ში რომის იმპერიაში სასტიკად აწამეს წმინდა მამა ორენტოსი და მისი 6 თანამოაზრე ანუ „ძმა“. წამების შემდეგ ისინი ეგრისის სამეფოს ზღვისპირეთში გამოგზავნეს. აქედან ოთხი ძმა დღევანდელი თურქეთის შავიზღვისპირეთში, ტრაპიზონის სიახლოვეს, ბანაკებში, რიზესა და კორდელაშია დამარხული, სამი კი – საქართველოს ზღვისპირეთში: აფსაროსში (გონიო), ძიგანეონში (გუდაყვა) და ბიჭვინთაში.

საქართველოში, სოხუმის მახლობლად კომანაში 398 წ. ჰპოვა საუკუნო განსასვენებელი უდიდესმა ღვთისმეტყველმა იოანე ოქროპირმა.



დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი

საქართველოში, ცაგერთან დამარხულია მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უმთავრესი წმინდანი რომის პაპი მაქსიმე აღმსარებელი. სასტიკი წამების შემდეგ, 686 წ. წმ. მაქსიმე ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლიდან ეგრისის ქალაქ ფაზისში გემით მოიყვანეს, ფაზისიდან კი ცაგერის მახლობლად, დღევანდელ სოფ. გვესოში სხიმარის ციხეში აიყვანეს, სადაც იმავე წელს გარდაიცვალა. მაქსიმე აღმსარებელი დაკრძალეს იქვე წმინდა არსენის მონასტერში, რომელსაც შემდგომში წმინდა მაქსიმეს სახელი ეწოდა.

ქრისტეს რჯულისათვის საქართველოში არაერთი უცხოელი ეწამა, რომელთა ნეშთი ჩვენს ქვეყანაშია დამარხული. ისინი ქართულმა ეკლესიამ თავის წმინდანებად შერაცხა. ასეთები არიან, უპირველეს ყოვლისა, ვახტანგ გორგასლის სპარსი მეუღლის მამამძუმე, წმ. რაჟდენი, ქართლის პიტიახშის, ვარსკენის მეუღლე წმ. შუშანიკი, ევსტათი მცხეთელი, აბო ტფილელი ...

საუკუნეთა განმავლობაში ქრისტეს რჯულისათვის არაერთი ქართველი ეწამა, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

VI ს-ის II ნახევარში საქართველოში დიდი სამონასტრო მშენებლობა გააჩაღა 13 სირიელმა (ასურელი) მამამ. მათ თავიანთი სახელობის მონასტრები დააარსეს. დავით გარეჯელმა გარეჯის მონასტრის გარდა, თბილისში მამა დავითის მონასტერი დააარსა. IX ს-ში სამონასტრო მშენებლობის აყვავებას სათავე დაუდო დიდმა გრიგოლ ხანძთელმა და მისმა მოწაფეებმა, რომლებმაც არაერთი მონასტერი ააშენეს თუ განაახლეს..

ქართველებს შუა საუკუნეებში საზღვარგარეთ: პალესტინაში, ეგვიპტეში, სირიაში, საბერძნეთში ათონის მთაზე, ბულგარეთში, მცირე აზიასა თუ კვიპროსზე ... ჰქონდათ მონასტრები, რომლებიც სწავლა-განათლების ცენტრებს წარმოადგენდნენ.

რუკა 5. ქართლის (იბერიის) სამეფო და ელინისტური სამყარო აპ. წ. III ს-ში

აქემენიანთა სპარსეთი ალექსანდრე მაკედონელმა დაამხო. მისი ლაშქრობების შედეგად მსოფლიო ისტორიაში დაიწყო ახალი ელინისტური ხანა. ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ მის მიერ შექმნილი სახელმწიფო მალევე დაიშალა. ახლად შექმნილ ელინისტურ სახელმწიფოებს შორის ტერიტორიითა და სიძლიერით სელევკიანთა სახელმწიფო (ასურასტანი) გამოირჩეოდა. აქემენიანთა სპარსეთის დანგრევამ ხელი შეუწყო ქართლის სამეფოს წარმოქმნას. ქართლის სამეფოს პირველმა მეფემ ფარნავაზმა (დაახლ. 302-263) ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვანი ნაწილი დაიქვემდებარა. ეგრისის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი დაიპყრო ამავე ხანებში წარმოქმნილმა პონტოს ელინისტურმა სახელმწიფომ. იმხანად ქართლის სამეფოს აღმოსავლეთიდან ალბანეთის სამეფო, სამხრეთ აღმოსავლეთიდან ატროპატაკანი (ადარბადაგანი, აზერბაიჯანი), სამხრეთიდან სელევკიანთა სახელმწიფო და სამხრეთ დასავლეთიდან ბივრიტიან-ბაგადათა სამფლობელო ესაზღვრებოდა.

რუკა 6. ქართლის სამეფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ფარნავაზის ხანაში

ქართველთა (ქართლის) ცხოვრების მიხედვით, ფარნავაზმა თავისი სამეფო რვა საერისთავოდ და ერთ სასპასპეტოდ დაჰყო. ეგრისის სამეფოს ადგილას ორი – არგვეთისა და ეგრისის საერისთავოები შეიქმნა. ქართლის სასპასპეტო ისტორიულ შიდა ქართლს მოიცავდა. კახეთის საერისთავო კახეთსა და კუხეთს აერთიანებდა. ისტორიული ქვემო ქართლი ხუნანისა და სამშვილდის საერისთავოებად იყოფოდა. აქედან ხუნანის საერისთავო გარდაბნის მხარეს, სამშვილდის საერისთავო კი ტაშირსა და აბოცს აერთიანებდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში კიდევ სამი წუნდის, ოძრხის და კლარჯეთის საერისთავო შეიქმნა. აქედან წუნდის საერისთავო ჯავახეთს, კოლას და არტაანს, ოძრხის საერისთავო – სამცხეს და აჭარას, კლარჯეთის საერისთავო კი მდ. ჭოროხის შუა და ქვემო დინებას მოიცავდა. ქართველთა ცხოვრების განმვრცობ-რედაქტორმა ლეონტი მროველმა ფარნავაზის ხანის ისტორიული გეოგრაფია არ იცოდა. ყოველივეს, რასაც ის, როგორც ფარნავაზის ხანაში არსებულს მოგვითხრობს, სინამდვილეში, ჯუანშერის ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან იღებს.